



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბლიანი ეგნატე გიორგის ძე

გაბლიანი ეგნატე გიორგის ძე (1877, სოფ. ლახისი, მულახის საზ-ბა, ახლანდ. მესტიის მუნიციპ., — 1937), ეთნოლოგი, საზოგადო მოღვაწე. გ. გაბლიანის მამა.

დანყებიტი განათლება მულახის ორწლიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის სას. სასწავლებელი და იქვე დაიწყო მუშაობა. მალე გ. დანიშნეს მესტიის მაზრის ცენტრის ჯერ ბოქაულად, შემდეგ — მაზრის უფროსად. მაზრის ცენტრი 1921-მდე ბეჩოში იყო. 1910 გ. მეგზურობას უწევდაა ე. თაყაიშვილს სვანეთში მოგზაურობისას. ამავე პერიოდში გაიცნო აკად. ნ. მარი, რ-ის რეკომენდაციით ჩაირიცხა პეტერბ. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტზე თავისუფალ მსმენელად (1912-17), თანამშრომლობდა პეტერბურგის მეცნ. აკადემიასთან. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის (1921) შემდეგ ქუთაისში დააპატიმრეს. ციხიდან გამოსული ერთხანს არალეგალურად ცხოვრობდა. იყო 1924 წ. აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი მეთაური სვანეთში. „თავისუფალმა სვანეთმა“ სწრაფად ჩამოაგდო ადგილობრივი ბოლშევიკური ადმინისტრაცია. აჯანყების დამარცხების შემდეგ გ-ის რაზმი იძულებული გახდა მთებში გახიზნულიყო. ხელისუფლებამ მთიელებთან შემრიგებლური პოლიტიკა არჩია - გ-ს სრული ამნისტია და თავისუფლება შესთავაზა, რაზეც იგი დათანხმდა, თუმცა მთავრობამ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა დაპირება - გ. გაასამართლეს, 10 წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და ერთხანს თბილისიდან გასვლა აუკრძალეს. შემდგომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა გ-ის პოპულარობის გამოყენება და იგი ზემო სვანეთის გამგებლის მოადგილედ დანიშნა (გამგებელი ბოლშევიკი იყო). მოგვიანებით გ. სათავეში ჩაუდგა მესტია-ზუგდიდის სამანქანო გზის მშენებლობას, სოფ. ჯვართან აშენდა რკინის ხიდი. გ. იყო თბილისში მთიელთა საბავშვო სახლის, სვანეთის კულტ. ძეგლების აღრიცხვისა და შენახვის, მესტიაში სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (1936; პირველი დირექტორი) დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მუზეუმი თავდაპირველად განთავსდა სეტის წმ.

გიორგის ეკლესიაში. აქ მან თავი მოუყარა 318-მდე ექსპონატს. შეადგინა მათი პასპორტები. გ. აგრძელებდა აქტიურ სამეცნ. მუშაობას.

1925 გამოვიდა მისი პირველი მონოგრაფია „ძველი და ახალი სვანეთი“; 1927 – „თავისუფალი სვანეთი“; 1930 – „ჯიხვი სვანეთის მთებში“. 1937 რეპრესიების დროს გ. დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ს. კვიციანი
